ოქმი:**ო31. 3126324001**

თარიღი:**20/11/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

17. 11. 2026 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი ვლადიმერ ნანაძე (№31-3126321001 ბრძანების საფუძველზე), საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი დავით სულაქველიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** პირველ რიგში, მიესალმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, დაუბრუნდა სამუშაო პროცესს. უსურვა ჯანმრთელობა და წარმატებები, რასაც ერთხმად შეუერთდა ბიუროს წევრები. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი

და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი დავით სულაქველიძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით

გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

11. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 25 ნოემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში (ვებგვერდი, 26/06/2024 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016542) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე შეღავათებით სარგებლობის უფლების მქონე პირებად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები 18 (თვრამეტი) წლის ასაკამდე.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორმა **დავით სულაქველიძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №16 დადგენილებით დამტკიცებულია „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-61 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ზემოაღნიშნული წესისი თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უკვე განსაზღვრულია მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების/ექსპლუატაციის ბრძანებაში ცვლილების შეტანის) თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი, რომელსაც დღემდე ახორციელებდა მერია. თუმცა, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის 7^2 პუნქტისა და მე-6^3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში არ არის განსაზღვრული სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ, სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 ოქტომბრის №ბ30. 30262868 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალურ ინსპექციას“ გაეზარდა უფლებამოსილება და ექსპლუატაციაში მიღების პარალელურად დაევალა სამართალდარღვევის აღიარების საფუძველზე აქტების დაჩქარებული ვადებით გამოცემაც. რის გამოც აუცილებელია, საკრებულომ მიიღოს წესის ცვლილების შესახებ დადგენილება, რომელიც მშენებლობის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრასთან ერთად, მკაფიოდ ასახავს მუნიციპალური ინსპექციის მიერ, დაჩქარებული მომსახურების გაწევის მოსაკრებლების ოდენობებსა და გადახდის წესს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირება განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №16 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საკრებულომ განიხილოს მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი დავით სულაქველიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში სხდომა გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 43 102 300 ლარი, მათ შორის, გადასახადები-14 834 700 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 12 887 200 ლარი; შემოსავლები მიღებულია 31 257 700 ლარი. მათ შორის, დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 12 076 847 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 13 535 800 ლარი. აქედან, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 2639 230 ლარი.

2026 წლის ცხრა თვეში გაწეული იქნა 21 307 200 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 7 056 300 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 7 269 600 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 11 884 600 ლარი, საიდანაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართულია 15 595 992 ლარის ფარგლებში. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 1 119 723 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვეში შემოსავლებმა შეადგინა 3 084 687 ლარი. აქედან, გადასახადების სახით მიღებულია 1 526 731 ლარი, დამატებითი ღირებულება -1 523 724 ლარი. გრანტების სახით მიღებულია 1 138 280 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 419 670 ლარი; აქედან, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 350 057ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3 972 398 ლარის საკასო ხარჯი. აქედან მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 2 080 758 ლარი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 765 056 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 957 117 ლარი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე 151 297 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1 911 640 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 24 დეკემბრის განცხადებით მომართა მოქალაქე კობა ჯალაღონია (კანცელარიის N 19/302535845-30) რომლითაც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ მალთაყვაში მდებარე 159 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.55.834) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემას აუქციონის ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ მალთაყვაში მდებარე 159 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.55.834) გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი და მოხდეს მისი გაცემა სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ამასთანავე მოგახსენებთ რომ ზემოთ ნახსენები უძრავი ქონებისათვის სარგებლობით გაცემის წლიურ ქირის ოდენობად განისაზღვროს მთლიანი საბაზრო ღირებულების 24 496

(ოცდაოთხიათას ოთხასოთხმოცდათექვსმეტი) ლარის (სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 16 ივნისის დასკვნა N 004374126) 20 % -ის ოდენობით რაც შეადგენს 4 899,2 (ოთხიათას რვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარს, ხოლო ბიჯის სიდიდედ საწყისი საიჯარო ფასის 1 %-ით, რაც შეადგენს 2 44,96 (ორასორმოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს, სასყიდლიანი სარგებლობის უფლების ვადად კი განისაზღვროს 5 წელი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება მუნიციპალური უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ზაალ მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 18,25 კვ.მ. ფართობი (ს/კ 27.06.56.07201/506)) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ზაალ მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 18,25 კვ.მ. ფართობი (ს/კ 27.06.56.07201/506)) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან, (რომელიც ასახულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 7 სექტემბრის N006833126 ექსპერტის დასკვნაში) რომელიც გაწერილია განსახილველად წარმოდგენილ განკარგულების პროექტში.

.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება

მუნიციპალური უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 33,45 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.56.072 01/503)) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ 33,45 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.56.072 01/503)) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 7 სექტემბრის N006833226 ექსპერტის დასკვნაში) რომელიც გაწერილია განსახილველად წარმოდგენილ განკარგულების პროექტში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, იგეგმება მუნიციპალური უძრავი ქონების (სოფელ სუფსაში მდებარე 387.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.52.294) განთავსებულ 356,90 კვ.მ. შენობა-ნაგებობაში არსებული 27.15.52.294.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17.70 კვ.მ. ფართი და მასზე მიმაგრებული იმავე კვადრატული მიწის ნაკვეთი) განკარგვა, კერძოდ მისი უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, 3 წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, 27.15.52.294 საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 27 თებერვლის N001236424 ექსპერტის დასკვნაში) რომელიც გაწერილია განსახილველად წარმოდგენილ განკარგულების პროექტში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** რომლის განმარტებითაც, საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით, შეფასებული (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 21 აგვისტოს N006395326 დასკვნა) მუნიციპალური ქონება, კერძოდ სოფელ შრომისუბანში მდებარე 137 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 39,74 კვ. მ. შენობა ნაგებობა (ს/კ 27.13.45.437) შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მ შ პ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 34 519 900 ლარით, რაც გასულ წელთან შედარებით 5 829 737 ლარით მეტია. შემოსავლების სახით განსაზღვრულია 28 191 300 ლარი, რაც ასევე, 2 453 930 ლარით მეტია, ვიდრე გასულ წელს.

2027 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21148,5 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2772,1 ათასი ლარით (15,1%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

-დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა

17848,5 ათასი ლარით;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10.3%-ით (1672,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს, ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

-ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3300,0 ათას ლარს;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 50%-ით (1100,0 ათასი ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 3647,3 ათასი ლარამდე, მათ შორის:

- სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 3647,3 ათასი ლარი;

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3,395.5 ათასი ლარით. მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 225,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- პროცენტები 80,0 ათასი ლარი.

- რენტა 145,0 ათასი ლარი;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 1,1% (1,5 ათასი ლარით) მცირდება. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით ვინაიდან, ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე გაცემულია ნაკლები ლიცენზია.

- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2910,5 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 4424,6 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 34519,9 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 7969,9 ათასი ლარით).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის, თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 26,837.6 ათასი ლარით. მათ შორის:

შრომის ანაზღაურება-10,886.2 ათასი ლარით;

საქონელი და მომსახურება-11,683.4 ათასი ლარით;

სუბსიდიები-1,878.2 ათასი ლარით;

სოციალური უზრუნველყოფა-1,850.3 ათასი ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა წარმოდგენილ პროექტში მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ზონების, მათ შორის, ჩიბათის და ორაგვის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოვლა-პატრონობა, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ამ კუთხით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შპს, რომლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა დაფინანსებასთან დაკავშირებით სრულადაა გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები და შპს-ები დეტალურად განიხილავდნენ მერიის შესაბამის სამსახურთან დაფინანსების შესახებ საკითხს და წარმოადგენდნენ თავიანთ მოსაზრებებს. აქედან გამომდინარე, ბიუროს წევრი დაინტერესდა, სრულადაა თუ არა გათვალისწინებული მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რადგან ეს იძლევა საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი, თავისი დაგეგმვიდან გამომდინარე, შემდგომი კორექტირებისთვის არ დაბრუნდეს, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურსა და მერთან ერთად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოხდა ა(ა)იპ-ების და შპს-ების ბიუჯეტების განხილვა, რომელშიც თავისთავად, შევიდა კორექტირება 8,4 %-ით ხელფასების მატებასთან დაკავშირებით. ასევე, მათმა ხელმძღვანელებმა, თავის მხრივ, წარმოადგინეს გარკვეული შენიშვნები და წინადადებები, რაც ოდენობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნა. გარდა ამისა, პროექტში, მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩადებულია ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის თანხა, დაახლოებით 1 300 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, ბიუჯეტი ისეა დაგეგმილი, რომ ამ ეტაპისთვის ვერ ხედავს მერიაში დაბრუნების არგუმენტაციას, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საკრებულოში პროექტის განხილვისას მოხდეს მნიშვნელოვანი ნორმალიზება ან ზოგადად, ხელფასებთან მიმართებაში შეიცვალოს მოვლენები. საერთო ჯამში, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოსაზრებაა, რომ წარმოდგენილი სახით მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი მისაღებია, მაგრამ თუკი რაიმე დახვეწილი წინადადება და შენიშვნა გამოითქმება, ამის განხილვა უმჯობესია, მოხდეს მომავალი წლის იანვარში, რადგან რესურსის შესახებ ცნობილი იქნება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ კომისიების და ფრაქციების მიერ დეტალურად მოხდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა. თავის მხრივ, კომისიის სხდომაზე აუცილებლად მოიწვევს მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)იპ-ის და შპს-ს ხელმძღვანელობას. შესაბამისად, თუკი გამოითქმება რაიმე მნიშვნელოვანი წინადადება ან შენიშვნა, რესურსიდან გამომდინარე, მოხდება მათი გათვალისწინება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** ასევე აღნიშნა, რომ სოციალური კუთხით შემოდის ორი ახალი პროგრამა: დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა და ძეგლთა დაცვა (მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა და შენარჩუნება). დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების 1-დან მე-4 კლასის ჩათვლით მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი,

თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მოსწავლეები. პროგრამა გათვლილია 1018 ბენეფიციარზე.

ძეგლთა დაცვის (მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა და შენარჩუნება) პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (ხუროთმოძღვრული, არქიტექტორული, არქეოლოგიური, მონუმენტური ქანდაკების, ფერწერის ნიმუშებისა და სხვა) რომელთაც გააჩნიათ ისტორიული, ხელოვნების ან მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირებულება, მათ აღრიცხვას, ფოტოფიქსაციასა და პასპორტიზაციას. აგრეთვე, მცირე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარებას, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ერთგვაროვანი საინფორმაციო დაფებისა და მაჩვენებლების განთავსებას (ორენოვანი ტექსტით და QR კოდებით). ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას (ფოტოგამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბუკლეტებისა და კატალოგების მომზადება -გამოცემა). არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და ცოცხალი ტრადიციების მხრდაჭერის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ ჩატარდება გურიის რეგიონული მასშტაბის ხალხური სიმღერისა და ფოლკლორის ფესტივალი. აღნიშნული ღონისძიება გააერთიანებს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ფოლკლორულ ანსამბლებსა და შემსრულებლებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ისტორიულ - კულტურული ძეგლის პოპულარიზაციასა და მის ფუნქციურ დატვირთვას, ასევე, გურული ხალხური სიმღერისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, მიმართვით, აღნიშნული კვლევები ისედაც უფასოდ უტარდებათ, რასაც დაეთანხმნენ ბიუროს წევრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის სხდომებზე აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში და დეტალურად განიხილავენ მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტს. გარდა ამისა, დეპუტატებისთვის კარგადაა ცნობილი მოსახლეობის საჭიროებები და მოთხოვნები სოციალური იქნება ეს, თუ სხვა კუთხით. ამიტომ, განხილვის პროცესში, სწორედ იმის შესახებ უნდა გამახვილდეს ყურადღება, თუ რა სიტუაციაა ამ მიმართულებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მადლობა გადაუხადა კოლეგებს, მისი ავადმყოფობის დროს, მძიმე დღეებში გამოჩენილი სითბოს, სიყვარულის, მეგობრობისა და თანადგომისთვის.

საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ყოფილი სკოლა-ინტერნატის მიმდებარედ, მაჩხვარეთის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა საშინელ მდგომარეობაშია. ეს არის მცირე მონაკვეთი და პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს მისი მოწესრიგება. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ საკითხის შესახებ ცნობილია. ასევე, საქმის კურსშია მუნიციპალიტეტის მერიც. შესაბამისად, პრობლემა მოგვარებადია.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

